



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე: ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ

(საჩივრის ნომერი: 30779/04)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 6 ნოემბერი

საბოლოო გახდა
06/02/2008

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეში: ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ, რომელიც შემდეგი შემადგენლობით არის წარმოდგენილი:

ქ-ნი ფ. ტულკენსი, პრეზიდენტი

ბ-ნი ა. ბ. ბაკა

ბ-ნი ი. კაბრალ ბარეტო

ბ-ნი მ. უგრეხელიძე

ბ-ნი ვ. ზაგრებელსკი

ქ-ნი ა. მულარონი

ბ-ნი დ. პოპოვიჩი, მოსამართლეები

და *ქ-ნი ს. დოლე*, სექციის განმწესრიგებელი

2007 წ. 10 ივლისსა და 2 ოქტომბერს დახურულ სხდომაზე იმსჯელა საქმეზე და 2 ოქტომბერს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა:

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№12979/04) საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შეიტანა საქართველოს მოქალაქემ, ბატონმა გია ფაცურიამ („მომჩივანი“), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2004 წ. 20 ივლისს. მომჩივანს წარმოადგენდა *ქ-ნი ე. ბესელია* (პირველი წარმომადგენელი), *ქ-ნი მ. კობახიძე* (მეორე წარმომადგენელი), *ქ-ნი მ. გიომვილი* (მესამე წარმომადგენელი), სამივე წარმომადგენელი თბილისში ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას.

2. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი, *ბ-ი მ. კვეენაძე* იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2006 წ. 3 ივლისს სასამართლომ გადაწყვიტა, ეცნობებინა საქართველოს მთავრობისათვის იმ სარჩელის თაობაზე, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის უკანონობასა და უსაფუძვლობას, კონვენციის მე-5 (1), (3) მუხლის ფარგლებში. კონვენციის 29§3 მუხლის თანახმად, სასამართლომ გადაწყვიტა საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა.

4. მომჩივანმა და მთავრობამ წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის შესახებ (სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 54(ა)).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1961 წელს და ამჟამად იმყოფება რუსთავის №1 ციხეში.

1. საქმის წარმოების პირველი ეტაპი

6. 2001 წ. 18 იანვრის ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს („სამინისტრო“) განმცხადებლისთვის უნდა გადაეცა სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის“ („კომპანია“) აქციათა 90% იმ პირობით, რომ იგი სხვა ვალდებულებებთან ერთად, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში 480,000 ლარამდე (218,000 ევრო) გაზრდიდა კომპანიის საწყის კაპიტალს.

7. 2001 წ. 14 მარტსა და 7 მაისს, სამინისტროს მიერ მოთხოვილი იქნა განახლებული მონაცემები სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შესახებ. საპასუხოდ, მომჩივანმა წარმოადგინა დოკუმენტები, რომელთა თანახმად, 250,000 აშშ დოლარი (207,000 ევრო), რომელიც თავდაპირველად კანადის ბანკში იქნა შეტანილი, გადაირიცხა კომპანიის ანგარიშზე, „საქართველოს ბანკში“.

8. საქართველოს ეროვნული ბანკის (სახელმწიფო უწყება) რეკომენდაციის შესაბამისად, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ (სგპ) შეისწავლა განმცხადებლის ფინანსური ოპერაციების მდგომარეობა. 2004 წ. 26 იანვრის გადაწყვეტილებაში, სგპ-ს მთავარმა პროკურორმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ბანკის ჩანაწერების ნამდვილობის დადგენის შემდეგ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი თქვა დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე. (მომჩივანს არ წარმოუდგენია სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი).

9. 2004 წ. 28 აპრილს, გენერალურმა პროკურორმა, პირადად აღძრა სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფოს აქციათა 90% არამიზნობრივად ხარჯვისა და საბანკო დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით, ანუ იმ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, რომლებზეც შესაბამისად ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის („სსკ“) მუხლები - 180§3 და 362. (მხარეებს არ წამოუდგენიათ აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი).

10. 2004 წ. 5 მაისს, მომჩივანს ბრალი წაუყენეს და დააკავეს.

11. თავდაპირველად, მომჩივანი მოათავსეს თბილისის №1 ციხის ე.წ. „იზოლატორში“. მისი გადმოცემით, საკანი სავალალო მდგომარეობაში იყო, იქ სიბინძურე და ანტისანიტარიასუფევედა, იგი სავსე იყო პარაზიტი მწერებით და არ გააჩნდა არც ვენტილაცია და არც ბუნებრივი განათება. დაკავებული მალევე

გადაიყვანეს იმავე სასჯელალსრულების დაწესებულების ჩვეულებრივ საკანში, სადაც 57 პატიმარზე სულ 24 საწოლი იყო და პატიმრებს რიგ-რიგობით უწევდათ ძილი. საკანში სუფევდა ანტისანიტარია, ხოლო საკვები უვარგისი იყო.

12. 2004 წ. 8 მაისს, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის თხოვნა გათავისუფლების შესახებ და ძალაში დატოვა გადაწყვეტილება სამთვინი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ. ზეპირი მოსმენის შედეგად სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

„შეგროვილი მტკიცებულებები... იძლევა დასაბუთებული ეჭვის საფუძველს იმისა, რომ ბრალდებულს ჩადენილი აქვს მისთვის ბრალად წაყენებული სამართალდარღვევები... მტკიცებულებები შეგროვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მომჩივანს ბრალი სერიოზულ დანაშაულში ედება. საქმეში არსებული მასალები იძლევა საკმარის საფუძველს, რათა ვივარაუდოთ, რომ მისი მხრიდან, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სიმართლის დადგენისათვის ხელის შეშლას... შესაძლო მკაცრი სასჯელის გათვალისწინებით, ის შეიძლება მიიმალოს...“

13. 2004 წ. 9 მაისის სააპელაციო სარჩელში, მომჩივანმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ მისთვის წაყენებული ბრალდებების სიმძიმე და განსაზღვრული სასჯელის სიმკაცრე. მისი აზრით, პროკურატურას არ წარმოუდგენია რაიმე განსაკუთრებული მტკიცებულებები ან არგუმენტები, რომლებიც მიანიშნებდნენ მის მიერ რაიმე შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებისა თუ მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევის რეალურ რისკზე. განმცხადებლის თქმით, იგი დაკავებამდეც აქტიურად თანამშრომლობდა პროკურატურასთან. ის ყოველთვის ცხადდებოდა ჩვენების მისაცემად, წარმოადგენდა ყველა მოთხოვილ მტკიცებულებას, რომელიც ფაქტობრივად, შემდგომში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი გახდა. მისი საიმედოობის ერთ-ერთ გარანტიად მომჩივანს “კარგი რეპუტაცია“ მოჰყავს, რომელიც უკავშირდება იმ ფაქტს, რომ იგი კანადის სავაჭრო პალატის ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

14. აღნიშნულზე გენერალურმა პროკურატურამ უპასუხა, რომ განმცხადებლის დაკავება მიზანშეწონილად მიიჩნის მის მიმართ წაყენებული ბრალდებების სიმძიმისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა ეჭვის საფუძველი განმცხადებლის მხრიდან სიმართლის დადგენისათვის შესაძლო ხელის შეშლასთან დაკავშირებით. თუმცა, ამ მხრივ, კონკრეტული არგუმენტები ან ამ კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

15. 2004 წ. 13 მაისს, თბილისის საოლქო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის დროს, არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი მისთვის პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით. სხვადასხვა მტკიცებულებების გაანალიზებისას, სასამართლო ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა იმაზე თუ რამდენად კარგად იყო დასაბუთებული ბრალდებები. რაც შეეხება წინასწარი პატიმრობის საფუძველს, სასამართლომ დაადასტურა, რომ სსსკ-ის 151-ე და 159-ე მუხლების თანახმად,

დანაშაულის სიმძიმე ამართლებდა აღნიშნული ღონისძიების შეფარდებას. სააპელაციო პროცესს ესწრებოდნენ თავად მომჩივანი და მისი ადვოკატები.

16. 2004 წ. 6 აგვისტოს, გენერალურმა პროკურატურამ შეწყვიტა წინასწარი გამოძიება და საქმე, საბრალდებო ოქმთან ერთად, გადაეცა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

17. 2004 წ. 6 დეკემბერს, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ განიხილა განმცხადებლის საქმე, გამომდინარე სსსკ-ის 417§1 მუხლიდან და ძალაში დატოვა მისთვის შეფარდებული წინასწარი პატიმრობა. აღნიშნული გადაწყვეტილების ოფიციალურად გამოცხადება მოხდა სტანდარტული ფორმით, ფორმულარის სახით, რომელშიც მითითებული იყო მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლები. მოსამართლემ უბრალოდ შეიტანა მასში ფაქტების მოკლე ჩამონათვალი, ბრალდებულის სახელი და გვარი, განმარტა გასაჩივრებული ბრალდება და მისთვის შეფარდებული წინასწარი პატიმრების ღონისძიება. რაც შეეხება ამ უკანასკნელის დადასტურებას, დაბეჭდილი სტანდარტული ფრაზა შემდეგნაირად იკითხებოდა:

„წინასწარი დაკავების – დაპატიმრების – ზომის შეფარდება სწორად მოხდა“.

18. 2005 წ. 11 თებერვალს, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დაიწყო საქმის არსებითი განხილვა და 17 თებერვალს, მომჩივანი დამნაშავედ სცნო საბუთების გაყალბების მცდელობაში და მიუსაჯა მას სამწლიანი პატიმრობა. საბანკო დოკუმენტების გაყალბების ბრალდება მოიხსნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. განაჩენი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალები გულდასმით იქნა შესწავლილი.

19. 2006 წ. 13 თებერვალს, თბილისის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი და ძალაში დატოვა 2005 წ. 17 თებერვლის განაჩენი. იგი შემოიფარგლა მხოლოდ ტექსტში ცვლილებების შეტანით.

20. 2006 წ. 20 ივნისს, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი. მან აღნიშნა, რომ საქმის გარემოებები გულდასმით იქნა შესწავლილი წინასწარი პატიმრობისა და სასამართლო გამოძიების პერიოდში, რომ საპროცესო კანონმდებლობის რაიმე მნიშვნელოვან დარღვევას ადგილი არ ჰქონია და რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სწორედ მოხდა ფაქტებისა და კანონის შეფასება.

21. განმცხადებელი, მის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების წინაშე წარდგენილ საჩივრებში, იგივე შეკითხვებს სვამდა, რომლებსაც იგი ამჟამად ევროპული სასამართლოს წინაშე აყენებს კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად (იხ. §83 ქვემოთ).

22. მსჯავრდების შემდეგ, მომჩივანი გადაყვანილ იქნა რუსთავის №1 ციხეში, სადაც, მისი გადმოცემით, თბილისის №1 ციხის მსგავსი პირობები იყო.

23. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი დაკავების პერიოდში ადგილი ჰქონდა შემდეგ ინციდენტს: 2006 წ. 30 იანვარს, გამთენიისას, იგი გამოაღვიძა რუსთავის №1

ციხეში ავტომატიდან სროლის ხმაურმა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ხმაური გამოწვეული იყო პოლიციის ძალების მიერ იქ არსებული კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად.

24. მომჩივანმა რუსთავის №1 ციხეში არსებული პირობებისა და 2006 წ. 30 იანვარს მომხდარი ინციდენტის შესახებ აცნობა რამოდენიმე ეროვნულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, მაგრამ არა პროკურატურასა და სასამართლო ორგანოებს, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა. მართალია, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მან რუსთავის ციხის უფროსს მიწერა წერილი, რომელშიც ამ უკანასკნელს შეატყობინა იმ სავალალო პირობების შესახებ, რომელშიც იგი მოცემულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფებოდა, თუმცა, მან არც წერილის ასლი წარმოადგინა და არც მისი თარიღი მიუთითა.

25. რუსთავის №1 ციხის ადმინისტრაციამ მომჩივანს შეუფარდა დისციპლინური სასჯელი სავალდებულო შემოწმებაზე არდასწრების გამო (თარიღი მითითებული არ არის) და იგი სამი დღით კარცერში იქნა გამწესებული. თუმცა, მას ამის შესახებ საჩივრით არც ერთი კომპეტენტური ეროვნული ორგანოსთვის არ მიუმართავს იმ მოსაზრებით, რომ ამგვარი ქმედება მაინც უშედეგო იქნებოდა.

2. საქმის წარმოების მეორე ეტაპი

26. 2006 წ. 21 სექტემბერს იუსტიციის სამინისტრომ, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება სასჯელაღსრულების სისტემა, განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა რუსთავის №1 ციხეში, ციხეში დადგენილი წესების დარღვევით, მობილური ტელეფონით სარგებლობის გამო.

27. სასამართლო სხდომას რომელიც 2006 წ. 22 სექტემბერს გაიმართა, ესწრებოდა თავად მომჩივანი. თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და მომჩივანს ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან, მომჩივანი, მისთვის წაყენებული ბრალდების საფუძველზე ისედაც პატიმრობაში იმყოფებოდა, მისთვის სხვა წინასწარი თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების შეფარდება შეუძლებელი იყო.

28. 2006 წ. 27 ოქტომბერს, თბილისის საოლქო სასამართლომ, დახურულ სხდომაზე, უარი უთხრა მომჩივანს საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ძალაში დატოვა 2006 წ. 22 სექტემბრის განკარგულება.

29. მომჩივანმა რამდენჯერმე მიმართა თხოვნით გენერალურ პროკურატურას, რათა მის მიმართ შეეწყვიტათ სავარაუდოდ უკანონოდ წამოწყებული პროცესის წარმოება. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ გამომძიების დროს დაირღვა მისი საპროცესო უფლებები.

30. საქმის მასალებიდან გამომდინარე, განმცხადებლის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის პროცესი პირველი ინსტანციის სასამართლოში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

II. შესაბამისი შიდა სამართალი

31. კონსტიტუცია

მუხლი 18 (6)

„... ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ცხრა თვეს.“

32. მოცემული დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მუხლი 28 (1)

სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველები

„სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს:

- ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება...
- ბ) თუ პროკურორი და დაზარალებული უარს იტყვიან ბრალდებაზე...“

მუხლი 140 (17)

„გამოძიების დასრულებამდე, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ იმ სასამართლოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება წინასწარი დაკავების ზომის შეფარდების შესახებ... მისი გაუქმებისა თუ შეცვლის მოთხოვნით. მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ აღნიშნული უფლება მხოლოდ არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოებების აღმოჩენისას, რომლის შესახებაც წინასწარი დაკავების ზომის შეფარდების დროს, მოსამართლისთვის ცნობილი არ იყო და მოითხოვონ აღნიშნული ზომის შეფარდების საფუძველის გადახედვა.“

მუხლი 146 (7)

„ბრალდების წაყენება უნდა მოხდეს არაუგვიანეს 48 საათისა დაკავებულის საგამომძიებლო განყოფილებაში მიყვანის შემდეგ. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში, სასამართლოს მიერ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება წინასწარი დაპატიმრების ან სხვა აღმკვეთი ზომის შეფარდების თაობაზე, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განთავისუფლებული.“

მუხლი 151 (1), (2) და (3)

აღმკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი და მიზნები

„აღმკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.“

აღმკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს აუცილებელია მოცემული მუხლის 1-ლ ფუნქტში ხსენებული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

დაკავების შეფარდების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს საკმარისად დასაბუთებული ეჭვი იმისა, რომ მსჯავრდებული შეიძლება მიიმალოს, ხელი შეუშალოს სისხლის სამართლის დადგენას მოცემული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ან თუ მას მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი.“

დაკავების გარდა, 152-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს წინასწარი დაკავების ისეთი ზომების შეფარდებას, როგორცაა პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, შინა პატიმრობაში

ყოფნა, თავდებობით გათავისუფლება ან პირადად აღებული ვალდებულება საცხოვრებელი ადგილის არ დატოვების შესახებ.”

მუხლი 159 (3)

დაპატიმრება

„დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლით ან მეტი ვადით...”

კოდექსი განასხვავებდა წინასწარი დაკავების ორ პერიოდს: „გამოძიებამდე“ დაკავებას, ანუ, ვიდრე კომპეტენტური საგამომძიებლო სამსახური აწარმოებდა გამოძიებას და „სასამართლომდე“ დაკავებას, ანუ ვიდრე საქმე სასამართლოს მიერ არ იქნებოდა განხილული. „გამოძიებამდე“ დაკავებული პირი იყო „ბრალდებული“, ხოლო საქმის სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ ეს პირი ხდებოდა „განსასჯელი“ (მუხლი 44, §§ 24 და 25). მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში დაკავების ამ ორ პერიოდს შორის განსახვავება არ არსებობდა, ვადების გაანგარიშება სხვადასხვაგვარად ხდებოდა.

162-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, „გამოძიებამდე“ დაკავების მაქსიმალური ვადა განისაზღვრებოდა ცხრა თვით. მისი ათვლა იწყებოდა პირის დაპატიმრებიდან და გრძელდებოდა იმ დღემდე, როდესაც პროკურორი საქმეს, საბრალდებო ოქმთან ერთად, სასამართლოს გადასცემდა განსახილველად (მუხლი 162 (1) და (2)).

„სასამართლომდე“ დაკავების მაქსიმალური ვადა, რომლის ათვლაც იწყებოდა პროკურორის მიერ საქმის კომპეტენტური სასამართლოსთვის გადაცემის დღიდან საბოლოო საკასაციო განაჩენის გამოტანამდე, განისაზღვრებოდა 48 თვით, თუ საქმის განხილვა სამი ინსტანციის სასამართლოს მიერ ხდებოდა და 30 თვით, თუ საქმის განხილვა მხოლოდ ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ ხდებოდა (მუხლი 162 (8) და (9)).

33. მოცემული დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი

მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი სისხლის სამართლის დანაშაულის კლასიფიკაციას ახდენდა თავისუფლების აღკვეთის ვადების მიხედვით, ანუ განასხვავებდა ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიებს.

მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით.

180-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად ისეთი სახის დანაშაული როგორცაა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების

მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, დიდი ოდენობით, ანუ სხვა პირის ქონების, მოტყუების გზით, უკანონოდ მითვისება, რომელიც ჩადენილია დიდი ფასეულობის მქონე ნივთების მიმართ, ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 10 წლამდე.

362-ე მუხლის თანახმად დანაშაულებრივ ქმედებად ითვლებოდა ყალბი პირადობის დამადასტურებელი საბუთების, სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების, ბეჭდების და ა.შ. დამზადება და გამოყენება. ამგვარი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი ითვალისწინებდა 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

34. საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წ. 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „ბერიაშვილი, ჯიმშერიშვილი და სახალხო დამცველი პარლამენტის წინააღმდეგ“.

მოსარჩელები დავობდნენ, რომ სსსკ-ის 162-ე მუხლის სხვადასხვა დებულებები, რომლებიც განასხვავებდნენ ერთმანეთისგან „გამოძიებამდე“ და „სასამართლომდე“ დაკავების პერიოდებს, საჭიროებდნენ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 ფუნქტთან შესაბამისობაში მოყვანას. მათი მტკიცებით, ამ ორი სახის დაკავების ერთმანეთისგან განსხვავება მართებული არ არის, რადგანაც ამის გამო, დაკავების საერთო ვადა ხშირად აღემატება კონსტიტუციით დადგენილ საბოლოო ვადას, რომელიც განისაზღვრება 9 თვით.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ მოტივით, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული იყო მხოლოდ „გამოძიებამდე“ პერიოდში დაკავების მაქსიმალური დაშვებული ვადა, რომელიც სსსკ-ის 162-ე მუხლის თანახმად გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე პროკურორის მიერ საქმე განსახილველად კომპეტენტურ სასამართლო ორგანოს გადაეგზავნებოდა:

„საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს მხოლოდ ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის საქმის გამოძიებამდე დაკავების ვადას და არ ითვალისწინებს განსასჯელის სასამართლომდე დაკავების ვადის განსაზღვრას...“

სამართალი

1. კონვენციის მე-5 მუხლის სავარაუდო დარღვევა

35. საჩივრის პირველ ნაწილში მომჩივანი მიუთითებს კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევაზე, რომლის შესაბამისი ნაწილები შემდეგნაირად იკითხება:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად: ...

გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი...

2. ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირს უფლება აქვს ... გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.”

ა. მისაღებობა

1. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (გ) პუნქტის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის შესახებ

(ა) მხარეთა არგუმენტები

36. მომჩივანი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების გამო მისი პატიმრობის ვადა აღემატებოდა კონსტიტუციით დადგენილ ცხრათვიან პერიოდს. იგი ასევე მიუთითებდა, რომ მისი დაპატიმრება უკანონო იყო, ვინაიდან სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (მ) პუნქტის მიხედვით, გენერალურ პროკურორს არ ჰქონდა უფლება, აღედრა სისხლის სამართლის საქმე მას შემდეგ, რაც მისმა ქვემდგომმა პროკურორმა უარი საჩივარა აღნიშნულზე.

37. მთავრობამ საჩივარა, რომ კონსტიტუციის მე-18 (6) მუხლი ეხება „მიმდინარე გამოძიების“ პერიოდში დაპატიმრების ვადის მაქსიმუმს, რაც არ მოიცავს პატიმრობას სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას. მთავრობა ამ განცხადებას აფუძნებს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წ. 29 იანვრის გადაწყვეტილებაზე (ზემოაღნიშნული §34 „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება“).

38. მომჩივანი არ ეთანხმება გადაწყვეტილების მთავრობისეულ ინტერპრეტაციას.

(ბ) სასამართლოს შეფასება

39. სასამართლო განმარტავს, რომ მე-5 მუხლი მოითხოვს, ყველა დაპატიმრება იყოს „კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისი“. აქედან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს არსებული სამართლის საპროცესო და მატერიალურ მოთხოვნებს (იხ. *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ* [GC], №71503/01, § 171, ECHR 2004-11). მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ხელისუფლებისათვის, განსაკუთრებით კი – სასამართლოებისათვის, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ინტერპრეტაცია და

გამოყენება ყველაზე მნიშვნელოვანია, მე-5 მუხლის 1 პარაგრაფის მიხედვით, ეროვნულ სამართალთან შეუსაბამობა ნიშნავს კონვენციის დარღვევას და სასამართლო უფლებამოსილი და ვალდებულიცაა, განიხილოს ამ მოთხოვნის დაცვა (*ibid.*).

40. სასამართლო მიიჩნევს, რომ სსსკ არსებითად მიჯნავს პატიმრობის გაგრძელების ორ პერიოდს: პატიმრობა „გამოძიების მიმდინარეობისას“ და პატიმრობა „სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას“. პირველი ვადის დინება იწყება პირის დაკავების ან დაპატიმრების მომენტიდან და მთავრდება იმ დღეს, როდესაც ბრალმდებელი ასრულებს გამოძიებას და სისხლის სამართლის საქმეს საბრალდებო დასკვნასთან ერთად აგზავნის უფლებამოსილ სასამართლოში საქმის განსახილველად. საპროცესო სამართლის ამგვარი გაგება არაორაზროვნად იქნა აღიარებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რომელმაც ნათლად დაადგინა, ცხრა თვიანი ვადა ეხება მხოლოდ „გამოძიების მიმდინარეობის“ პატიმრობას (იხ. §34 ზემოთ). სასამართლო აცხადებს ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ მისი ფუნქცია არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილის დაკავება და საქართველოს კონსტიტუციის ინტერპრეტაცია ან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეჭვქვეშ დაყენება (იხ. *აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ*, №40765/02, § 39, ECHR 2006-...).

41. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი დაპატიმრებულ იქნა 2004 წ. 5 მაისს და მისი საქმე, საბრალდებო დასკვნასთან ერთად, უფლებამოსილ სასამართლოს გენერალური პროკურატურის მიერ გაეგზავნა 2004 წ. 6 აგვისტოს (იხ. §§ 10 და 16 ზემოთ). აქედან გამომდინარე, განმცხადებლის „მიმდინარე გამოძიებასთან“ დაკავშირებული პატიმრობა, რომელზეც ვრცელდება კონსტიტუციური შეზღუდვა, გაგრძელდა მხოლოდ სამ თვეს. შესაბამისად ვადის დარღვევის შესახებ პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებელია.

42. რაც შეეხება განმცხადებლის შემდგომ მოთხოვნებს მე-5 მუხლის 1 (გ) პუნქტის ფარგლებში, კერძოდ გენერალურ პროკურატურას, სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი (მ) პუნქტის მიხედვით, არ უნდა აღედგინოს სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალდების ინსტიტუტის შესაბამისობა სასამართლოს მიერ განსჯადი საკითხების მიღმა რჩება (იხ. *Artner v. Austria*, judgment of 28 August 1992, Series A no. 242-A, § 21). წინამდებარე საქმე გამონაკლისს არ წარმოადგენს.

43. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნები მე-5 მუხლი 1 (გ) პარაგრაფის ფარგლებში აშკარად უსაფუძვლოა და დაუშვებლად უნდა გამოცხადდეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად.

2. კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის შესახებ

44. მომჩივანი ასაჩივრებს იმ ფაქტს, რომ მას განემარტა მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების შესახებ არა სისხლის სამართლის აღძვრისას, არამედ – დაპატიმრებისას.

45. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს მოთხოვნა აშკარად უსაფუძვლოა, ვინაიდან მომჩივანი თავად მიუთითებს, რომ მას სასწრაფოდ ეცნობა დაკავების მიზეზების შესახებ. მომჩივანი არ ასაჩივრებს, რომ მისთვის მიწოდებული ინფორმაცია იყო არასრული (*Shamayev and Others v. Georgia and Russia*, no. 36378/02, § 413, ECHR 2005-III). მომჩივანს აღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლის 3 (ა) პუნქტის ფარგლებშიც არ გაუსაჩივრებია. მე-5 მუხლი მე-2 პუნქტის ფარგლებში წამოყენებულ პრეტენზია არ უნდა ეთქვას დაკმაყოფილდეს, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

3. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის შესახებ

46. მომჩივანი ასაჩივრებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დაბრუნებასთან დაკავშირებული პატიმრობა არ იყო გონივრული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

47. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს პრეტენზია არ არის აშკარად უსაფუძვლო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ეს მოთხოვნა დასაშვებია.

4. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის შესახებ

(ა) მხარეთა თანასწორობა

48. მომჩივანი მიუთითებს, რომ მას და მის ადვოკატს არ ჰქონდათ საკმარისი დრო, რომ მოემზადებინათ პასუხი პროკურორის მოთხოვნაზე პატიმრობის გაგრძელების შესახებ, ვინაიდან ამ მოთხოვნის შესახებ მათ შეიტყვეს 2004 წ 8 მაისის სასამართლო მოსმენაზე.

49. სასამართლო მიუთითებს, რომ, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით, საპროცესო ქმედებები, რომლებიც შეიცავს „კანონიერების“ საპროცესო და მატერიალურ პირობებს კონვენციის მიზნებისათვის, განმცხადებლის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით უნდა იყოს შეჯიბრებითი და მხარეთა “თანასწორობა” უნდა იქნეს უზრუნველყოფილი (იხ. *Brogan and Others v. the*

United Kingdom, judgment of 29 November 1988, Series A no. 145-B, pp. 34-35, § 65; *Nikolova v. Bulgaria* [GC], no. 31195/96, § 58, ECHR 1999-II).

50. მიუხედავად ზემოთქმულისა, სასამართლო მიუთითებს, რომ არ არის აუცილებელი, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საპროცესო ქმედებები უზრუნველყოფილ იქნას იმავე გარანტიებით, როგორც ეს კონვენციის მე-6 მუხლითაა გათვალისწინებული (იხ., *Assenov and Others v. Bulgaria*, judgment of 28 October 1998, *Reports of Judgments and Decisions* 1998-VIII, p. 3302, § 162; *Włoch v. Poland*, no. 27785/95, § 125, ECHR 2000-XI).

51. სასამართლო განმარტავს, რომ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაპატიმრებასთან დაკავშირებული საპროცესო ქმედებები იყო სასწრაფო და დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი. სსსკ-ის 146-ე მუხლის მე-7 პუნქტის ფარგლებში გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უზრუნველსაყოფად, პროკურორს უნდა მიეყვანა დაპატიმრებული სასამართლო ხელისუფლების წინაშე დაპატიმრებიდან ორი დღის ვადაში. მომდევნო 24 საათის განმავლობაში, უფლებამოსილ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი (იხ. §32 ზემოთ).

52. სწრაფი განხილვის გათვალისწინებით, რომელიც კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო, იხილავდა რა განმცხადებლის პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხს 2004 წ 8 მაისს, არ იყო ვალდებული, უზრუნველყო მხარეთა შორის ყველა დოკუმენტის ურთიერთგაცვლა, ვინაიდან ეს შეუძლებელს გახდიდა დადგენილი 24 საათიანი ლიმიტის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებას (cf. *Galushvili v. Georgia* (dec.), no. 40008/04, 24 October 2006; *Yavuz v. Austria* (dec.), no. 32800/96, 18 January 2000). მით უმეტეს, რომ ეს გადაწყვეტილება დაბალანსებულია დაპატიმრების გასაჩივრების ორსაფეხურიანი სისტემით: მომჩივანსა და მის დამცველს ჰქონდათ კიდევ ერთი შესაძლებლობა, 2004 წ 13 მაისს, გაესაჩივრებინათ პროკურორის შუამდგომლობა შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემების ფონზე. უფრო მეტიც, ვინაიდან 2004 წ 8 და 13 მაისის საპროცესო ქმედებები განხორციელდა ზეპირი მოსმენის ფორმით, რომელსაც დაესწრო მომჩივანი და მისი დამცველები, მათ მიენიჭათ საკმარისი შესაძლებლობა, სკოდნოდათ და შენიშვნები წარედგინათ პროკურორის შუამდგომლობის თაობაზე (იხ., *Galushvili*, decision cited above; *Schiesser v. Switzerland*, judgment of 4 December 1979, Series A no. 34, p. 13, §§ 30-31). ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ ვერ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის დარღვევა ამ კუთხით.

(ბ) ავტომატური გადასინჯვა

53. მომჩივანი სადავოდ ხდის სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისობას კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან, აცხადებს რა, რომ კოდექსის

ეს მუხლი არ უზრუნველყოფს დაპატიმრების კანონიერების ავტომატურ გადასინჯვას.

54. სასამართლო მიუთითებს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი უზრუნველყოფს დაპატიმრებულ პირებს მათი დაპატიმრების კანონიერების გადასინჯვის უფლებით არა მარტო თავისუფლების თავდაპირველი შეზღუდვის დროს, არამედ – ნებისმიერ დროს, როცა კანონიერებასთან დაკავშირებული ახალი საკითხები შეიძლება იქნეს წამოჭრილი, პერიოდულად (იხ. *Kolanis v. the United Kingdom*, no. 517/02, § 80, ECHR 2005-...).

55. სასამართლო მიუთითებს, რომ სსსკ ამ რედაქციით არ მოითხოვს ხელისუფლების მიერ საკუთარი ინიციატივით დაპატიმრების გაგრძელების კანონიერების გადასინჯვას რეგულარული ინტერვალებით. მიუხედავად ამისა, სსსკ-ის 140-ე მუხლის სადავო მე-17 პუნქტის მიხედვით, მომჩივანს შეეძლო, პატიმრობის განმავლობაში დაუსრულებელი გამოძიების პერიოდში მოეთხოვა გასაჩივრებული ღონისძიების გადასინჯვა ნებისმიერ ახალ გარემოებათა შემთხვევაში. საქმის მასალების მიხედვით, მან არ გამოიყენა ეს უფლება. უფრო მეტიც, მან არ დააზუსტა, რატომ იყო ხელისუფლება ვალდებული, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით განეხორციელებინა დაპატიმრების გადასინჯვა. მან არ მიუთითა იმ გარემოებათა არსებობაზე, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული 2004 წ. 8 მაისის თავდაპირველი დაპატიმრების ბრძანებაში ან რომლებიც მოგვიანებით შექმნიდნენ მისი დაპატიმრების ვადის გაგრძელების ავტომატური გადასინჯვის საფუძველს (იხ. გალუაშვილი, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება).

56. რაც შეეხება განმცხადებლის პატიმრობას სასამართლოს მსვლელობის დროს, ეს დაიწყო 2004 წ. 6 აგვისტოს, სასამართლოსთვის მისი საქმის გადაცემის შემდეგ და გაგრძელდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2005 წ. 17 თებერვლის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე და არ წარმოადგენდა განმცხადებლის საჩივრის საგანს (მომჩივანი ეხება მხოლოდ სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-17 პუნქტს, რომელმაც შეზღუდა პატიმრობის ვადა გამოძიების მსვლელობისას).

57. ზემოხსენებულის კვალობაზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანი სადავოდ ხდიდა ეროვნულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონს ზოგადად. მაშინ როდესაც, კონვენციის სისტემა არ ითვალისწინებს სარჩელებს *in abstracto* და ეხება მხოლოდ ამ კანონების გამოყენებას მომჩივანთან მიმართებით კონკრეტულ გარემოებებში (იხ. *Brogan and Others*, cited above, § 53).

(გ) დასკვნა

58. ზემოხსენებულის გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნები კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები უარყოფილ უნდა იქნეს, როგორც აშკარა დაუსაბუთებელი, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით.

ბ. კონვენციის მე-5 მუხლი მე-3 პარაგრაფის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის არსებითი განხილვა

1. მხარეთა არგუმენტები

59. მთავრობამ საჩივარა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სირთულის გამო მისი პატიმრობის ვადის გაგრძელება იყო გონივრული მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის. რაც შეეხება პატიმრობის ვადის გაგრძელების მიზეზებს, მთავრობა ეყრდნობა 2004 წ. 8 მაისისა და 13 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებებს (იხ. §§ 12 და 15 ზემოთ).

60. განმცხადებლის განმარტებით, ეროვნული სასამართლოები, პატიმრობის საკითხის გადაწყვეტისას, ეყრდნობოდნენ მხოლოდ ბრალდებათა სიმძიმესა და გონივრულ ეჭვს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

2. სასამართლოს შეფასება

61. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი დააპატიმრეს 2004 წ. 5 მაისს და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა 2005 წ. 17 თებერვალს. აქედან გამომდინარე, მისი პატიმრობის ვადა, კონვენციის მე-5 მუხლის 1 (გ) პუნქტის მიზნებისათვის, არის ცხრა თვე და თორმეტი დღე (იხ. *Wemhoff c. Allemagne*, arrêt du 27 juin 1968, série A n° 7, p. 23, § 9; *Davtian v. Georgia* (dec.), no. 73241/01, 6 September 2005).

62. პატიმრობის ვადა არ იყო გადაჭარბებული. სასამართლო განმარტავს, რომ იგი ვერ შეაფასებს გონივრულობას *in abstracto*. ეროვნული სასამართლო ხელისუფლების მიერ სათანადო გადაწყვეტილებებში მითითებული მიზეზებისა და განმცხადებლის მიერ გათავისუფლების მოთხოვნის დროს გაკეთებული საჩივარების საფუძველზე, სასამართლო მოწოდებულია, გადაწყვიტოს, გამართლებული იყო თუ არა პატიმრობის გაგრძელება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ფარგლებში (იხ., მაგალითად, *Michta v. Poland*, no. 13425/02, §§ 45 and 46, 4 May 2006; *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 152, ECHR 2000-IV; *Kudła v. Poland* [GC], no. 30210/96, § 110, ECHR 2000-XI). ეს გადაწყვეტილებები უნდა შეიცავდეს „სათანადო“ და „საკმარის“ არგუმენტაციას და ეხებოდეს მოცემული საქმის სპეციფიკას, რომ გაამართლოს თავისუფლების შეზღუდვა (იხ. *Ječius v. Lithuania*, no. 34578/97, § 93, ECHR 2000-IX). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პატიმრობის ვადის გაგრძელების ნებისმიერი პერიოდი, განურჩევლად მისი ხანგრძლივობისა, მოითხოვს კომპეტენტური ეროვნული ორგანოების სათანადო მოტივაციას, რომლებიც ვალდებული არიენ, გამოიჩინონ „განსაკუთრებული გულისხმიერება“ ამ პროცედურების განხორციელებისას (იხ. *Jablonski v. Poland*, no. 33492/96, § 80, 21 December 2000).

63. მოცემულ საქმეზე განმცხადებლის პატიმრობის ვადის გაგრძელება წარდგენილი, მხარდაჭერილი და მიღებული იქნა 2004 წ. 8 მაისის, 13 მაისისა და 6 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილებებით. აქედან გამომდინარე, განმცხადებლის პატიმრობის გონივრულობის დასადგენად კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის სასამართლო ამოწმებს ამ გადაწყვეტილებებში მითითებულ მიზეზებს, ასევე განმცხადებლის არგუმენტებს, რომლებიც მოცემულია გათავისუფლების მოთხოვნაში (იხ. ჟაბლონსკი, ზემოაღნიშნული § 79)

64. სასამართლო მიიჩნევს, რომ 2004 წ. 8 მაისის სასამართლო გადაწყვეტილება აყალიბებს დაპატიმრების გაგრძელების მიზანშეწონილობის მიზეზებს, როგორცაა: (ა) საქმის მასალები აძლიერებს ეჭვს, რომ მომჩივანმა ჩაიდინა დანაშაული; (ბ) მტკიცებულებები შეგროვებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით; (გ) სასჯელის სიმკაცრე განაპირობებდა მიმალვის საშიშროებას; და (დ) საქმის მასალები ქმნიდა განმცხადებლის მიერ გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს.

65. რაც შეეხება პირველ მიზეზს, სასამართლო აღნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვის არსებობა წარმოადგენს დაპატიმრების კანონიერების უპირობო საფუძველს კონვენციის მე-5 მუხლის 1 (გ) პარაგრაფის მიზნებისათვის, მაგრამ ეს შეიძლება არ იყოს საკმარისი პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად. ამგვარი სასამართლო გადაწყვეტილება საჭიროებს უფრო მყარ საფუძველს, რომელიც ადასტურებს არამარტო გონივრული ეჭვის ნამდვილად არსებობას, არამედ საჯარო ინტერესის სხვა ელემენტებსაც, რომლებიც, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადაწონის თავისუფლების უფლებას (იხ., *Lavents v. Latvia*, no. 58442/00, § 70, 28 November 2002; *I.A. v. France*, judgment of 23 September 1998, *Reports* 1998-VII, p. 2979, § 102; *Labita*, cited above, § 153), ვინაიდან მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის ძირითადი მიზანია ბრალდებულის პირობითი გათავისუფლება სასამართლოს მიმდინარეობისას (იხ. *Garycki v. Poland*, no. 14348/02, § 39, 6 February 2007; *McKay v. the United Kingdom* [GC], no. 543/03, § 41, ECHR 2006-...).

66. მართალია, რომ 2004 წ. 8 მაისის ბრძანება ეხება შედარებით მოკლე პერიოდს – განმცხადებლის პატიმრობის პირველ სამ თვეს. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული პირობითი გათავისუფლების უფლება სასამართლოს მსვლელობისას არ არის დამოკიდებული პატიმრობის ვადაზე. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ვერ იქნება განხილული, როგორც სასამართლომდე დაპატიმრების უპირობო ნებართვა, თუნდაც რომ პატიმრობა მოკლევადიანი იყოს (იხ. *Belchev v. Bulgaria*, no. 39270/98, § 82, 8 April 2004).

67. სასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმრობის ვადის ავტომატური გაგრძელება სამი თვით მხოლოდ კანონით დადგენილი პრეზუმფციის გამო, რომელიც ეფუძნება ბრალდებების სიმძიმესა და მიმალვის, ხელახალი სამართალდარღვევის ჩადენის ან მოლაპარაკების ჰიპოთეტურ საშიშროებას, არ შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს (იხ., *Nikolov v. Bulgaria*, no. 38884/97, § 70, 30 January 2003). აქედან გამომდინარე, მოცემული საქმის მასალებს რომ დავუბრუნდეთ, ის ფაქტი, რომ 2004 წ. 8 მაისის ბრძანება ეხებოდა განმცხადებლის პატიმრობის საწყის პერიოდს, არ

ათავისუფლებს ეროვნულ ხელისუფლებას, წარმოადგინოს ამ ღონისძიების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დასაბუთება. სასამართლოს თქმით, 2004 წ. 8 მაისს, განმცხადებლის დაპატიმრებიდან სამ დღეში, პრეზუმცია უნდა ყოფილიყო გათავისუფლების სასარგებლოდ (იხ. *McKay*, cited above, § 41).

68. უფრო მეტიც სასამართლო მიიჩნევს, რომ 2004 წ. 8 მაისის ბრძანების დასაბუთება – შეგროვებული მტკიცებულებების კანონიერება, პატიმრობის გონივრულობის არგუმენტაციის ირელევანტურია.

69. რაც შეეხება მიმალვის საფრთხეს, სასამართლო განმარტავს, რომ ეს შეიძლება იყოს დაპატიმრების კანონიერი საფუძველი. მიუხედავად ამისა, იგი არ შეიძლება დაეფუძნოს საბოლოო განაჩენის სიმძიმეს და უნდა უკავშირდებოდეს რამდენიმე სხვა სათანადო გარემოებას (იხ. *Letellier v. France*, judgment of 26 June 1991, Series A no. 207, § 43).

70. 2004 წ. 8 მაისის დაპატიმრების ბრძანებაში აღნიშნულია, რომ სასჯელის სიმკაცრე განაპირობებს *per se* მიმალვის საფრთხეს. სასამართლომ არ განიხილა ამ საფრთხის ხასიათი განმცხადებლის მიერ წარდგენილი დასაბუთების საპირისპიროდ, რომელიც მან მიუთითა გათავისუფლების მოთხოვნაში – თანამშრომლობა პროკურატურასთან, დოკუმენტაციის ნებაყოფლობითი წარდგენა და მისი გამოცხადება დაკითხვაზე მოთხოვნისთანავე, მისი სანდოობა და კარგი რეპუტაცია და სხვ. სავარაუდო სასჯელის სიმკაცრე ასევე არ იქნა გადამოწმებული საქმის სხვა გარემოებებთან, რომელიც ან დაადასტურებდა მიმალვის საფრთხეს, ან – იმდენად უმნიშვნელოდ წარმოაჩენდა მას, რომ პატიმრობის ვადის გაგრძელება ვეღარ იქნებოდა მიზანშეწონილი (იხ. *Khudoyorov v. Russia*, no. 6847/02, § 181, ECHR 2005-... (extracts)). ამიტომ სასამართლო მიიჩნევს, რომ მიმალვის საფრთხე არ იყო საკმარისად დასაბუთებული წინამდებარე საქმეში.

71. რაც შეეხება ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის საფრთხეს, სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული ბრმად იყო მოყვანილი და არ უკავშირდებოდა კონკრეტული საქმის გარემოებებს *Smirnova v. Russia*, nos. 46133/99 and 48183/99, § 63, ECHR 2003-IX (extracts); *Nikolov*, cited above, § 73). მართალია, საფრთხე წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის მიზანშეწონილობის შეფასების ელემენტს, მაგრამ იგი არ შეიძლება დადგენილ იქნას დაუსაბუთებელი, აბსტრაქტული განცხადებების საფუძველზე.

72. რაც შეეხება 2004 წ. 13 მაისის სააკვეციო გადაწყვეტილებას, სასამართლოს მიაჩნია, რომ დაპატიმრების ღონისძიება შენარჩუნებული იყო მხოლოდ ბრალდებების სიმძიმის გამო და არ მომხდარა სხვა შესაძლო მიზეზების შესწავლა, რომელთა გამოც პატიმრობის ვადის გაგრძელება მიზანშეწონილი იქნებოდა. ეს გადაწყვეტილება, ისევე, როგორც 2004 წ. 8 მაისის გადაწყვეტილება, არ ითვალისწინებდა განმცხადებლის საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს. ამგვარი მიდგომა სავარაუდოდ გამოწვეული იყო სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-3 პუნქტით, მაგრამ, სასამართლოს მოსაზრებით, იგი არ შეიძლება იქნეს გამართლებული კონვენციის მიზნებისათვის (იხ. *Rokhlina v. Russia*, no. 54071/00, § 66, 7 April 2005; *Panchenko v. Russia*, no. 45100/98, § 102, 8 February 2005). იგი ასევე არ შეესაბამება

უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელსაც ეროვნულმა სასამართლომ პატივი უნდა სცეს პატიმრობის მიზანშეწონილად ჩათვლის შემთხვევაში კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ფარგლებში (იხ., აგრეთვე, *Lavents*, cited above, § 70), ვინაიდან დაპატიმრებული პირი შეიძლება გამართლებულ იქნას ან განაჩენი გამოტანილ იქნას ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის (იხ. ზემოთ პარაგრაფები 9 და 18).

73. თბილისის საოლქო სასამართლოს წინაშე 2004 წ. 13 მაისს განმცხადებლისა და პროკურატურის დასაბუთებათა შედარებისას, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი ცდილობდა, დაემტკიცებინა გარემოებები პროკურატურის უსაფუძვლო ვარაუდების გასაქარწყლებლად, რომ მისი მიმალვის ან მოლაპარაკების ჰიპოთეტური საფრთხეც კი არ არსებობდა. სასამართლო მიუთითებს ამასთან დაკავშირებით, რომ მტკიცების ტვირთის გადანაცვლება დაპატიმრებულ პირზე თავისუფლების შეზღუდვის საკითხებში ნიშნავს კონვენციის მე-5 მუხლის ძირეულ შეცვლას (იხ. *Ilijkov v. Bulgaria*, no. 33977/96, §§ 84 and 85, 26 July 2001).

74. სასამართლო განსაკუთრებით შემფოთებულია იმ ფაქტით, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის სამართალში მიცემისას გადასინჯა და გააგრძელა დაპატიმრების ვადა 2004 წ. 6 დეკემბრამდე. იმის ნაცვლად, რომ გამოეჩინა „განსაკუთრებული გულისხმიერება“ შვიდი თვის მანძილზე გაგრძელებული პატიმრობის გათვალისწინებით (იხ. *G.K. v. Poland*, no. 38816/97, § 84, 20 January 2004), რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა სტანდარტული, შაბლონური გადაწყვეტილება. იმის ნაცვლად, რომ აღესრულებინა საკუთარი ვალდებულება, დამაჯერებელი დასაბუთება მიეცა გაგრძელებული პატიმრობისათვის (*ibid.*), იგი დაეყრდნო წინასწარ დადგენილ ფორმას და მის აბსტრაქტულ დებულებებს (იხ. §17 ზემოთ). სასამართლო 2004 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილებას მიიჩნევს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული უფლებების განსაკუთრებით სერიოზულ შეზღუდვად.

75. საბოლოოდ, სასამართლო უსვამს ხაზს იმ გარემოებასაც, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ფარგლებში ხელისუფლება ვალდებულია, პირის გათავისუფლების ან დაპატიმრების საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინოს მისი სასამართლოს წინაშე გამოცხადების უზრუნველყოფის სხვა ალტერნატიული ღონისძიებები. დებულება მხარს უჭერს არამარტო „გონივრულ ვადაში სასამართლოსადმი წარდგენას ან გათავისუფლებას საქმის განხილვის განმავლობაში“, არამედ – „გათავისუფლებას, განპირობებულს სასამართლოს წინაშე გამოცხადების გარანტიებით“ (იხ. *Kaszczyniec v. Poland*, no. 59526/00, § 57, 22 May 2007).

76. მიუხედავად ზემოთქმულისა, მოცემული საქმე ადასტურებს, რომ არც 2004 წ. 8 და 13 მაისის გადაწყვეტილებებში, რომლებიც ეხებოდა პატიმრობის საწყის ვადას და არც 2004 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, რომელმაც დაადგინა ვადის გაგრძელება, ეროვნულმა სასამართლომ არ განიხილა არა-პატიმრობითი პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც ნათლად არის წარმოჩენილი სსსკ-ის 152-ე მუხლის 1 პარაგრაფში. ეროვნული სასამართლოს მიერ ამ საკითხის განუხილველობა ადასტურებს მის მიერ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის მოთხოვნების

გაუთვალისწინებლობას (იხ. *Dolgova v. Russia*, no. 11886/05, §§ 47, 48 and 50, 2 March 2006).

77. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ სპეციფიკური ფაქტების გაუთვალისწინებლობამ განმცხადებლის საქმეზე ან თუნდაც არა-პატიმრობითი სახის ღონისძიებების განუხილველობამ, ასევე ბრალდებების მარტოდენ სიმძიმეზე დაყრდნობამ, გამოიწვია ხელისუფლების მიერ განმცხადებლისათვის პატიმრობის შეფარდება და გაგრძელება იმ საფუძვლებით, რომლებიც არ შეიძლება იქნეს მიჩნეული “რელევანტურად” და “საკმარისად”. პირობით გათავისუფლებაზე განმცხადებლის უფლების განსაკუთრებით სერიოზულ დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული 2004 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს შაბლონურ და სტანდარტულ მიზეზებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

II. კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების სავარაუდო დარღვევა

78. მომჩივანმა მიუთითა ხელისუფლების მიერ მომაკვდინებელი ძალის გამოყენების შესახებ რუსთავის №1 საპყრობილეში 2006 წ. 30 იანვარს და გაასაჩივრა მისი პატიმრობა თბილისისა და რუსთავის ციხეებში. იგი დაეყრდნო კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს.

79. რაც შეეხება რუსთავის ციხეში მომხდარ სროლას, მომჩივანმა ვერ დაადასტურა, რომ ამ ფაქტმა მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეუქმნა. ნებისმიერ შემთხვევაში მას ჯერ უნდა გაესაჩივრებინა ეს ფაქტი პროკურატურაში ან სხვა სასამართლო უწყებაში (იხ. *Galushvili* decision cited above).

80. რაც შეეხება თბილისისა და რუსთავის ციხეების პირობებს, საქმის მასალები არ ადასტურებს განმცხადებლის მიმართვას პროკურატურის ან სასამართლო ხელისუფლების წინაშე, ან იუსტიციის სამინისტროს წინაშე, რომელიც პასუხისმგებელია სასჯელაღსრულებით სისტემაზე, განსაკუთრებით, თუკი ირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნები (იხ. *Galushvili*, decision cited above; *Panjikidze and six others v. Georgia* (dec.), no. 30323/02, 20 June 2006; cf., *a contrario*, the *Davtian* decision cited above).

81. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განმცხადებლის პრეტენზია კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების ფარგლებში უარყოფილ უნდა იქნას მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვის გამო, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

III. კონვენციის მე-6 მუხლის საგარაუდი დარღვევა

82. მომჩივანი ამტკიცებს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (დ) პუნქტების დარღვევას, რომლებიც შემდეგნაირად იკითხება:

„1. ... ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება... სასამართლოს მიერ...

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

(დ) დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები...”

1. განმცხადებლის პრეტენზიები

83. საპროცესო ქმედებების პირველ ეტაპთან დაკავშირებით, მომჩივანი მიუთითებს, რომ გენერალურმა პროკურორმა დაარღვია სსსკ-ის 28-ე მუხლის 1 (მ) პუნქტი, როცა აღძრა სისხლის სამართლის საქმე ქვემდგომი პროკურორის მიერ საქმის აღძვრაზე უარის თქმის შემდეგ. იგი თვლის, რომ გამოძიება არ იყო ობიექტური, ვინაიდან მხოლოდ მისი გამამტყუნებელი მტკიცებულებები იქნა შეგროვებული მისი დაპატიმრების მიზნით და ამით დაიცვა სახელმწიფო 2001 წ. 18 იანვრის ხელშეკრულების (იხ. §6 ზემოთ) შეუსრულებლობით გამოწვეული სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან. მომჩივანმა ასევე სადავოდ გახადა მისი მსჯავრდების დასაბუთება 2005 წ. 17 თებერვალს და სასამართლოს მიერ ზოგიერთი მტკიცებულების შეფასება. მომჩივანი მიუთითებს, რომ ვერდიქტი არ ადასტურებს თაღლითობის შემადგენლობის ელემენტებს, ხოლო საქმის სამართლებრივი შესწავლა ზედაპირული იყო. იგი ასევე მიუთითებს, რომ არ იქნა დაყენებული თანაბარ პოზიციაში ბრალდებასთან, ვინაიდან სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურამ, მათ შორის – ეროვნულმა ბანკმა, დახმარება გაუწია პროკურატურას გამოძიებაში. აღიარებს რა, რომ მისი ოფისის ჩხრეკა კანონიერი იყო, იგი აღნიშნავს, რომ ჩხრეკის დროს აღმოჩენილი დოკუმენტები (საბანკო ამონაწერები, სასესხო ხელშეკრულებები, მისი ფოტოები და სხვ.) ეროვნულ სასამართლოს არ უნდა ჩაეთვალა კანონიერი გზით მოპოვებულ მტკიცებულებად. და ბოლოს, მომჩივანი ასაჩივრებს პროცედურების ხანგრძლივობას და მიუთითებს, რომ გამოძიების პირველი ორი თვის განმავლობაში მას არ მიეცა საშუალება, დაპირისპირებოდა ზოგიერთ მოწმეს.

84. რაც შეეხება საპროცესო მოქმედებების მეორე ეტაპს, მომჩივანი მიიჩნევს, რომ ისინი არასწორად იქნა დაწყებული. იგი ასაჩივრებს იმ ფაქტს, რომ მას არ იცავდა ადვოკატი 2006 წ. 22 სექტემბრის სასამართლო განხილვაზე.

2. სასამართლოს შეფასება

85. განმცხადებლის იმ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, გენერალურ პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს არ უნდა დაეწყო სისხლის სამართლის წარმოება განმცხადებლის წინააღმდეგ, სასამართლო განმეორებით აცხადებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის შეფასება მის საზედამხედველო ფუნქციას აღემატება (იხ. §42). მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ დროს როდესაც ქვემდგომმა პროკურორმა არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ბანკის დოკუმენტების გაყალბების საფუძველზე, გენერალური პროკურორის 2004 წ. 28 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც განმცხადებლის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, თავიდანვე ეფუძნებოდა მითვისებას თაღლითური ქმედების საფუძველზე. დოკუმენტების გაყალბება და მითვისება თაღლითური ქმედების საშუალებით წარმოადგენს ორ განსხვავებულ ბრალდებას სსკ-ის 180.3.ბ და 362 მუხლების მიხედვით, ხოლო 2004 წ. 28 აპრილის გადაწყვეტილება სცილდება სსსკ-ის 28.1.(მ) მუხლის დებულებებს (იხ. §§ 8,9, 32 და 33 ზემოთ). ნებისმიერ შემთხვევაში, ვინაიდან გაყალბების ბრალდება საბოლოოდ მოიხსნა 2005 წ. 17 თებერვალს (იხ. §18 ზემოთ), მომჩივანს არ შეუძლია განუცხადოს სასამართლოს, რომ ის წარმოადგენს თვითნებური ბრალდების მსხვერპლს.

86. შემდგომ, სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოების პირველ ნაწილთან მიმართებაში, მომჩივანი ეჭვქვეშ აყენებს პროცესუალური და მატერიალური სამართლის ინტერპრეტაციას პორკურატურისა და სასამართლო ორგანოების მიერ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი სთხოვს სასამართლოს შეასრულოს სააპელაციო, „მეოთხე ინსტანციის“ სასამართლოს როლი. ყველა მისი სარჩელი წარდგენილი იყო ყველა შიდა სასამართლოში (იხ. §21 ზემოთ), რომლებიც წარმოადგენდა საუკეთესო საშუალებას საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულების შეფასებისა და მატერიალური და პროცესუალური სამართლის წესებისა და დებულებების ინტერპრეტაციისა და გამოყენებისათვის (იხ. *Vidal v. Belgium*, judgment of 22 April 1992, Series A no. 235-B, pp. 32-33, § 32; *Edwards v. the United Kingdom*, judgment of 16 December 1992, Series A no. 247-B, § 34). სასამართლომ ვერ მოიპოვა რაიმე სახის ნათლად თვითნებური დასაბუთება შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებებში.

87. რაც შეეხება პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ეროვნული სასამართლო პირველი მოსმენების დროს ეფუძნებოდა არალეგალურად მოპოვებულ საბუთებს, პირველ რიგში, სასამართლო აღნიშნავს, რომ თვით მომჩივანი აღიარებს მისი ოფისის ჩხრეკის კანონიერებას. მიუხედავად ამისა, მან ვერ განმარტა რატომ არ უნდა მიეღო სასამართლოს ჩხრეკის დროს ამოღებული დოკუმენტები და უარი ეთქვა მათზე, როგორც უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ეს კონკრეტული პრეტენზია არ არის სათანადოდ დასაბუთებული მისი არსებითად განხილვისათვის.

88. რაც შეეხება პირველი ეტაპის განხილვების ხანგრძლივობას, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს ბრალი წაუყენეს 2004 წ. 28 აპრილს, ხოლო საბოლოო

განაჩენი გამოუტანეს ბოლო ინსტანციის სასამართლოში 2006 წ. 20 ივნისს. შესაბამისად, განხილვა გრძელდებოდა ორ წელსა და ორ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში სამივე ინსტანციის სასამართლოში. ამგვარი პერიოდი ვერ მიიჩნევა „არაგონივრულად“, კონვენციის მე-6.1 მუხლის ქრილში (იხ. აგრეთვე, *Hendriks v. the Netherlands* (dec.), 44829/98, 5 March 2002).

89. რაც შეეხება განმცხადებლის მიერ ზოგიერთ მოწმესთან დაპირისპირების შეუძლებლობას გამოძიების პირველი ორი თვის განმავლობაში, მომჩივანმა ვერ დაასახელა მათი ვინაობა ან მათი ჩვენებების საბოლოო მნიშვნელობა. სასამართლო ადგენს, რომ ამ შემთხვევაში ბრალდებულის აბსტრაქტული საჩივარი, რომ მას არ შეეძლო დაესვა შეკითხვები ზოგიერთი მოწმისათვის, ვერ იქნება საკმარისი; ბრალდებულმა უნდა დამატებით დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა და ახსნას, რატომ არის აუცილებელი ამ მოწმეების მოსმენა და რით დაეხმარება მათი ჩვენება ქვეყნისთვის დადგენას (იხ. *Bocos-Cuesta v. the Netherlands*, no. 54789/00, § 67, 10 November 2005; *Perna v. Italy* [GC], no. 48898/99, § 29, ECHR 2003-V). ეს პრეტენზიაც ასევე უსაფუძვლოა.

90. და ბოლოს, რაც შეეხება საპროცესო მოქმედებათა მეორე ერთობლიობას, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტი არ ვრცელდება მასზე, ვინაიდან 2006 წ. 22 სექტემბრის სასამართლო განხილვა არ ეხებოდა განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ბრალდების წარდგენას, არამედ – სასამართლო განხილვამდე განმცხადებლისთვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებას მის პატიმრობაში ყოფნის კონტექსტში, რაც შეფარდებული იყო უფლებამოსილი სასამართლოს მიერ (იხ. §§ 26 და 27 ზემოთ). იმის გათვალისწინებით, რომ ეს საპროცესო მოქმედებები კვლავ მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ნებისმიერი საჩივარი ნაადრევია.

91. ზემოხსენებული მოსაზრებებისა და საქმის მასალების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის პრეტენზია კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აშკარად უსაფუძვლოდ უნდა იქნეს მიჩნეული და უარყოფილ იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

IV. კონვენციის სხვა მუხლების სავარაუდო დარღვევა

92. მომჩივანმა მიუთითა საკუთარი პრეტენზია კონვენციის მე-13 მუხლის ფარგლებში მისი პატიმრობის ვადის გაგრძელების კანონიერების ავტომატური გადასინჯვის თაობაზე (იხ. §53 ზემოთ). სასამართლო განმარტავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლი მე-4 პუნქტი არის სპეციალური მუხლი, რომელიც ეხება პატიმრობას (*Shamayev and Others*, cited above, § 435, ECHR 2005-III) და პატიმრობის კანონიერების ავტომატური გადასინჯვის არარსებობა უკვე იქნა მიჩნეული აშკარად უსაფუძვლოდ (იხ. §58 ზემოთ). ამიტომ სასამართლო საჭიროდ არ თვლის, კონვენციის მე-13 მუხლთან მიმართებასაც განიხილოს იგივე მოთხოვნა.

93. მომჩივანი ასევე მიუთითებს კონვენციის 1-ლი, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებზე რელევანტური ახსნის გარეშე. სასამართლო განმარტავს, რომ 1-ლი მუხლი არ ეხება ცალკე საკითხს და საქმის მასალებიდან არ ირკვევა სხვა დებულებათა დარღვევა.

94. აქედან გამომდინარე, ეს მოთხოვნები აშკარად უსაფუძვლოა და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

95. კონვენციის 41 მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია ან მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებილ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

96. მომჩივანმა მოითხოვა 760,000 ევრო მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. მისი თქმით, რომ ეს თანხა მისმა კომპანიამ გადაუხადა დაგროვებული დავალიანების დასაფარავად 2001-2004 წლებში, როდესაც მას სახელმწიფო მართავდა. მომჩივანმა ასევე მოითხოვა 20,000 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. მან საჩივარა, რომ დედამისი გარდაიცვალა მისი უკანონო მსჯავრდებით გამოწვეული სტრესის გამო, ხოლო მისი ჯანმრთელობა გაუარესდა პატიმრობის მძიმე პირობების გამო.

97. მთავრობამ ეს მოთხოვნები უსაფუძვლოდ და გადაჭარბებულად მიიჩნია. იგი თვლის, რომ დარღვევის დადგენა საკმარის წარმოადგენს მორალური ზიანის საკმარის დაკმაყოფილებას.

98. სასამართლომ ვერ დაინახა მიზეზობრივი კავშირი დადგენილდარღვევებსა და მიყენებულ ზიანს შორის (იხ. *Stašaitis v. Lithuania*, no. 47679/99, § 96, 21 March 2002; *Jablonski*, cited above, § 109). შესაბამისად, სასამართლო უარყოფს განმცხადებლის აღნიშნულ მოთხოვნას.

99. რაც შეეხება მორალურ ზიანს, მომჩივანმა არ წარმოადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით გამოწვეულ შედეგებსა და განმცხადებლის დედის სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირის დამადასტურებელი საბუთები. მიუხედავად ამისა, სასამართლოს ეჭვს არ იწვევს, რომ მომჩივანმა განიცადა დისკომფორტი და იმედგაცრუება, როდესაც ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებით იგი პატიმრობაში იმყოფებოდა სათანადო

საფუძვლის არარსებობისას ცხრა თვისა და თორმეტი დღის განმავლობაში (იხ. *Rokhlina*, cited above, § 17; *E.M.K. v. Bulgaria*, no. 43231/98, § 149, 18 January 2005). ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრონციპით, სასამართლო მომჩივანს მიაკუთვნებს 1,500 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

100. მომჩივანმა ასევე მოითხოვა 5,000 ევრო სასამართლო ხარჯების ასანაზღაურებლად. ამ მოთხოვნის მხარდასაჭერად, განმცხადებლის მეორე და მესამე წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ დახარჯეს 97 სამუშაო საათი ამ საქმეზე თითოეული საათის 50 ევროს ღირებულებით ანაზღაურების პირობებში. მათ ასევე წარმოადგინეს ქვითრები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ საფოსტო და თარგმანის ხარჯების გაწევას სულ 393 ლარის (170 ევრო) ოდენობით.

101. მთავრობამ ეს მოთხოვნები უსაფუძვლოდ და გადაჭარბებულად მიიჩნია, თუმცა აღიარა, რომ მომჩივანმა გასწია სამართლებრივი ხარჯები და სთხოვა სასამართლოს, მიეკუთვნებინა მისი საჩივრისათვის გონივრული თანხა, როგორც ეს დადგენილია პრეცედენტული სამართლით.

102. სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან განმცხადებლის პირველმა წარმომადგენელმა არ წარმოადგინა მოთხოვნა, სასამართლო არ აანაზღაურებს მისი მონაწილეობის ხარჯებს.

103. რაც შეეხება განმცხადებლის მეორე და მესამე წარმომადგენლებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მათ არ წარმოუდგენიათ ქვითრები, რომლებიც დაადასტურებდა განმცხადებლის მიერ ამ ხარჯების გაწევის ფაქტს (იხ. *Garycki*, cited above, § 83). მიუხედავად ამისა, რჩება ფაქტი, რომ, როგორც მთავრობამ დაადასტურა, მომჩივანს გაეწია მომსახურება, რომლის საფასურის გადახდისაგანაც ის არ იყო გათავისუფლებული. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი არ არის შეზღუდული შიდა სახელმწიფოებრივი ანაზღაურების ფარგლებითა და მიღებული გამოცდილებით (იხ. ასანიძე, ზემოხსენებული, §206). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივანს არ მიუღია სამართლებრივი დახმარება ევროპის საბჭოსაგან. ამ საქმის სირთულისა და განმცხადებლის მხრიდან ორი წარმოდგენილი მიმოხილვის კვალობაზე სასამართლომ, განიხილა რა საკითხი მოუკერძოებლად, გონივრულად მიიჩნევს 2,000 ევროს მიკუთვნებას სასამართლოში განმცხადებლის წარმომადგენლების - მ. კობახიძისა და მ. გიოშვილის ასანაზღაურებლად.

104. სასამართლო ასევე მიაკუთვნებს მომჩივანს 170 ევროს საფოსტო და თარგმნის ხარჯების დასაფარავად.

გ. საურავი

105. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად დაადგინა:

1. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის შესახებ პრეტენზია დასაშვებად იქნეს მიჩნეული, დანარჩენი პრეტენზიები კი – დაუშვებლად.

2. დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

3. (ა) მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივანს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს:

(1) 1,500 ევრო (ათას ხუთასი ევრო) მორალური ზიანის ასანაზღაურებლად;

(2) 2,170 ევრო (ორი ათას ას სამოცდაათი ევრო) გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად;

(3) აღნიშნულ თანხას დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

(ბ) აღნიშნული ვადის გავლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

4. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და ინფორმირებულია 2007 წ. 6 ნოემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ს. დოლე
განმწესრიგებელი

ფ. ტულკენსი
პრეზიდენტი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, მოსამართლე მულარონის ნაწილობრივ თანმხვედრი აზრი, რომელსაც შეუერთდა მოსამართლე ზაგრებელსკი, დაერთო გადაწყვეტილებას.

მოსამართლე მულარონის ნაწილობრივ თანმხვედრი აზრი, რომელსაც შეუერთდა მოსამართლე ზაგრებელსკი

მე ვეთანხმები სასამართლოს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას ამ საქმეზე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მე ამ დასკვნამდე მივედი, ვთვლი რა, რომ პრობლემური იყო 2004 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილება და ვერ ვხედავ პრობლემას 2004 წ. 8 მაისის ბრძანებაში, რომელიც ეხება განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნას პირველი სამი თვის განმავლობაში.

რაც შეეხება ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებას, მე ვთვლი, რომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ უარი უთხრა მომჩივანს გათავისუფლების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგი მიზეზების გამო:

„შეგროვებული მტკიცებულება იძლევა გონივრული ეჭვის საბაზს, რომ მომჩივანმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული... მტკიცებულებები შეგროვებულ იქნა საპროცესო ნორმების დაცვით... სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მომჩივანს ბრალად ედება სერიოზული დანაშაულის ჩადენა...“

საქმის მასალები იძლევა ვარაუდის შესაძლებლობას, რომ იგი ჩაერევა ჭეშმარიტების დადგენაში... მკაცრი სასჯელის გამო იგი შეიძლება მიიმალოს...“ (იხ. გადაწყვეტილების მე-12 პარაგრაფი).

როგორც ეს გადაწყვეტილების 64-ე პარაგრაფშია მითითებული, სასამართლომ 2004 წ. 8 მაისის ბრძანების მიზანშეწონილობა დაასაბუთა შემდეგი მიზეზებით:

ა) საქმის მასალები იძლევა გონივრული ეჭვის საბაზს, რომ მომჩივანმა ჩაიდინა დანაშაული;

ბ) მტკიცებულებები შეგროვებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით;

გ) სასჯელის სიმკაცრე ქმნიდა მიმალვის საფრთხეს; და

დ) საქმის მასალები ადასტურებდნენ განმცხადებლის მიერ გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს.

მე დავამატებდი მეხუთე ელემენტსაც, რომელიც, მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიხედვით, ამართლებდა პატიმრობის ბრძანების მიზანშეწონილობას:

ე) მომჩივანს ბრალად ედებოდა სერიოზული დანაშაულის ჩადენა.

მე ვიზიარებ უმრავლესობის პოზიციას, რომ შეგროვებული მტკიცებულებების კანონიერება არარელევანტურია პატიმრობის გონივრულობის დასამტკიცებლად (იხ.

გადაწყვეტილების 68-ე პარაგრაფი). მიუხედავად ამისა, მე მიმაჩნია, რომ ოთხი დანარჩენი მიზეზი, თუკი მათ ერთობლიობაში განვიხილავთ, უდავოდ დაადასტურებს პატიმრობის ბრძანების მიზანშეწონილობას. ჩვენი სასამართლოს განსხვავებული გადაწყვეტილება უტოლდება მეოთხე ინსტანციის გადაწყვეტილებას.

მე ასევე დავამატებდი, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების 63-70 პარაგრაფებში ციტირებული პრეცედენტები, რომლებიც ეხება გონივრული ექვის “შენარჩუნებას”, არ შეიძლება გამოვიყენოთ პირველი ბრძანების მიმართ, რომელიც განმცხადებლის პატიმრობის ვადის გაგრძელებას ეხება.

უფრო მეტიც, მე ერთობ არ ვეთანხმები გადაწყვეტილების 66-ე და 67-ე პარაგრაფებში მოცემულ მოსაზრებებს, ვინაიდან ისინი ეხება 2004 წ. 8 მაისის პატიმრობის ბრძანებას. გავიმეორებ, რომ 2004 წ. 8 მაისის ბრძანება იყო სათანადოდ დასაბუთებული და სულაც არ უტოლდებოდა პატიმრობის ავტომატურ გაგრძელებას, რომელიც ეფუძნებოდა მარტოოდენ კანონით გაწერილ პრეზუმფციასა და ბრალდების სიმძიმეს.

სამაგიეროდ, მე ვეთანხმები უმრავლესობას 2004 წ. 6 დეკემბრის პატიმრობის ბრძანების გაკრიტიკების საკითხში, რაც გამოხატულია 74-ე და 75-ე პარაგრაფებით. რაც შეეხება 76-ე და 77-ე პარაგრაფებს, მე სრულიად ვეთანხმები მათ, იმდენად რამდენადაც ისინი ეხება 2004 წ. 6 დეკემბრის ბრძანებას.